საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/91

ქ. ბათუმი 05 მაისი, 2023 წელი

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2023 წლის 25 აპრილის №451482 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართში, მე-17 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. სასწავლო პროცესის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი შეფასების მტკიცებულება/პროდუქტი უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით."

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში.

3. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისა და შესაბამისი პერსონალისათვის.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი

განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**